

სნობანი

აბიჭუნინენჭებინსათვის

2024

ერთიანი
ეროვნული
გამოსცდები

შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

WWW.NAEC.GE



სარჩევი

1. ცნობარი აბიტურიენტებისათვის	5
1.1 2024 წელს აბიტურიენტები ისევ სამი საგნის შედეგის მიხედვით ჩაირიცხებიან	5
2. რეგისტრაცია ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის	8
2.1 როგორ უნდა გავიაროთ რეგისტრაცია? - დეტალური ინსტრუქცია	9
3. გადახდის შესაძლო საშუალებები	12
3.1 დოკუმენტაციის წარდგენი ვადები	13
3.2 რეკომენდაციები აბიტურიენტებს	14
4. საგამოცდო ბარათები	16
4.1 რა შემთხვევაში გაუქმდება აბიტურიენტის სარეგისტრაციო განაცხადი?	17
5. სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის წესი	18
5.1 რა შემთხვევაში არ გაიცემა სახელმწიფო სასწავლო გრანტი?	19
6. აბიტურიენტის აბსოლუტური ქულის გამოთვლის წესი	21
7. რა უნდა იქონიოს თან აბიტურიენტმა გამოცდაზე მოსვლისას?	23
8. ინფორმაცია საგამოცდო პროცესის შესახებ	24
8.1 წესები, რომლებიც უნდა დაიცვას აბიტურიენტმა გამოცდის მიმდინარეობისას	25
8.2 რა შემთხვევაში არ გასწორდება ნაშრომი?	27
8.3 პირველადი შედეგების გამოცხადება - სად და როგორ შეიტყობენ აბიტურიენტები პირველად შედეგებს?	28
8.4 როგორ ხდება ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებული საპრეტენზიო განცხადების შეტანა?	28
9. სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვება	29
9.1 რას ნიშნავს ქულების გათანაბრება?	29
9.2 როგორ გამოიანგარიშება საკონკურსო ქულა თითოეულ აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე?	29
10. საბოლოო შედეგები	30
11. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები	33
001 - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	33
002 - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	86
003 - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	111
004 - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	187
005 - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	204
006 - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	212
009 - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	226
010 - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	278
012 - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	316
014 - სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	345
019 - შპს - ქუთაისის უნივერსიტეტი	368
020 - შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	374
033 - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	384
036 - შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	399
040 - შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია	410
047 - შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	414
052 - შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი	424
053 - სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	427
064 - შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	439



071 - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	463
085 - შპს - ალტე უნივერსიტეტი	481
088 - შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი	491
097 - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	502
098 - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	518
114 - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	542
115 - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	585
120 - შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	599
121 - შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	612
122 - შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	643
129 - შპს - სასწავლო უნივერსიტეტი გომედი	676
130 - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	682
131 - შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	696
133 - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	703
140 - შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	724
142 - ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი"	730
143 - შპს - „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“	741
145 - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	750
152 - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	760
153 - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	775
154 - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი	785
155 - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	791
171 - შპს - ევროპის უნივერსიტეტი	802
172 - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	816
177 - ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი	824
181 - შპს „ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუნი“	826
183 - ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	831
186 - სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	839
192 - შპს ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი	848
195 - შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	851
197 - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი	858
198 - შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“	862
199 - შპს „ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში“	866
201 - შპს - აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი	869
202 - ვებსტერ უნივერსიტეტის, ინკ.-ის ფილიალი საქართველოში	871
203 - შპს - კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი	877
204 - შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	880
205 - შპს - ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი	890



12. ბაკალავრიატის საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამები	892
173 - ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქო გრემის სასულიერო სემინარია	893
174 - ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია	896
175 - ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია	899
184 - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარია	906
194 - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარია	908

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ვებგვერდზე განთავსებული ცნობარი წარმოადგენს ცენტრის საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ". დაუშვებელია მისი გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

უმაღლესი სასწავლებლების მიერ მოწოდებულ საინფორმაციო ბანერების შინაარსზე პასუხისმგებელია შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.



„ცნობარს აბიტურიენტებისათვის“

ცნობარში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

- სიახლეები;
- აბიტურიენტის კალენდარი;
- რეგისტრაციის ინსტრუქცია;
- ინფორმაცია საგამოცდო საგნებისა და საგანმანათლებლო პროგრამების არჩევის შესახებ;
- ინფორმაცია საგამოცდო პროცესის შესახებ;
- შედეგების გამოქვეყნებისა და აპელაციის პროცედურა;
- ჩარიცხვისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების წესი;
- ცხრილი, რომელშიც ასახულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაცემები - თითოეული გამოცდისათვის მინიჭებული კოეფიციენტების, დადგენილი მინიმალური კვოტის, სწავლის საფასურისა და სხვა დეტალების შესახებ.

გაითვალისწინეთ, რომ ცხრილები მომზადებულია 2024 წლის იანვარში (ცნობარის მომზადების დროისთვის) სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

დოკუმენტში წარმოდგენილია იმ საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალიც, რომლებზეც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში მიმდინარეობს აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება. ამ პროგრამების თაობაზე ინფორმაცია ელექტრონულ ბაზაში აისახება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მიიღება მათთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილება.

გაითვალისწინეთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სტატუსის (აკრედიტებული/არაკრედიტებული) ცვლილება საბოლოოდ ცნობარსა და მონაცემთა ბაზაში აგვისტოს შუა რიცხვებამდე აისახება.

ნებისმიერი ცვლილება გამოქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე www.naec.ge. შესაბამისად, გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ განახლებულ ინფორმაციას.

აბიტურიენტების ინტერესების გათვალისწინებით, 2024 წელსაც საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი მითითების/ცვლილების შეტანის ვადა, ანუ სარეგისტრაციო განაცხადში საგანმანათლებლო პროგრამების დამატება, ამოშლა ან ადგილის შეცვლა შესაძლებელი იქნება აპელაციის შედეგების გამოქვეყნებიდან მომდევნო დღის 18:00 საათის ჩათვლით.

2024 წელს აბიტურიენტები ისევ სამი საგნის შედეგის მიხედვით ჩაირიცხებიან!

რაც შეეხება ჯანდაცვის (დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, საექონო საქმის, სამეანო საქმის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, ოკუპაციური თერაპიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი



ჯანდაცვის) საგანმანათლებლო პროგრამას, ჩარიცხვისათვის აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს შემდეგი საგნები:

- ქართული ენა და ლიტერატურა;
- უცხოური ენა;
- ბიოლოგია;
- მათემატიკა, ქიმია ან ფიზიკა (აბიტურიენტი ირჩევს მინიმუმ ერთს).

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაბარება შეუძლიათ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს. აბიტურიენტებს, რომლებიც დარეგისტრირდებიან ამა თუ იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულ ადგილებზე, მოუწევთ ჩააბარონ ზოგადი უნარების გამოცდა სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე, ან აფხაზური ენა, ან ოსური ენა. ეს აბიტურიენტები სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც სწავლა ერთი წელი გრძელდება (60 კრედიტი). ამ პროგრამის დასრულებისა და შესაბამისი სერტიფიკატის მიღების შემდეგ სტუდენტები დამატებითი გამოცდების გარეშე, საკუთარი არჩევნის შესაბამისად, სწავლას გააგრძელებენ იმავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის (4 წელი - 240 კრედიტი), დიპლომირებული სტომატოლოგის (5 წელი - 300 კრედიტი), დიპლომირებული მედიკოსის (6 წელი - 360 კრედიტი), მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო ან ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით (5 წელი - 300 კრედიტი). ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტი გადადის შემდეგი ეტაპის დასაფინანსებლად.

სახელოვნებო-შემოქმედებით/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად აბიტურიენტისათვის სავალდებულოა როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი კონკურსის გავლა, ასევე შემდეგი საგნების ჩაბარება:

ბაკალავრიატზე - ქართული ენისა და ლიტერატურის და უცხოური ენის. თუმცა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, სურვილის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს დააწესოს დამატებითი გამოცდა. აბიტურიენტი ვალდებულია, პროგრამაზე ჩასარიცხად ჩააბაროს აღნიშნული გამოცდაც.

სახელოვნებო-შემოქმედებით/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოსაპოვებლად აბიტურიენტი ვალდებულია ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა და კიდევ ერთ-ერთი დამატებითი საგანი. თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არ დააწესებს დამატებით გამოცდას, აბიტურიენტს თავად შეუძლია სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების მიზნით ჩააბაროს ბრძანებით განსაზღვრული ერთ-ერთი საგანი. **ცნობარში საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე ინფორმაციასთან ერთად მითითებულია, თუ რომელი საგნის ჩაბარება შეუძლიათ აბიტურიენტებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოსაპოვებლად.**

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის გავლის შემდეგ აბიტურიენტი აპირებს სწავლის გაგრძელებას სახელოვნებო-შემოქმედებით ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე, აბარებს მხოლოდ აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ზოგადი უნარების გამოცდას, ან ოსურ ან აფხაზურ ენას.

განაცხადის გაკეთება შეგიძლიათ ერთი და იმავე ან სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ ან/და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად.



სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების მსურველებმა ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე უნდა გაიარონ შესაბამისი კონკურსი სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, რომლისთვისაც რეგისტრირდებიან უშუალოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბარებენ:

- ა) სამ სავალდებულო გამოცდას (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა და საგანი/საგნები, რომელიც არჩეულია საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით);
- ბ) ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად ზოგადი უნარების გამოცდას სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე, ან აფხაზურ ენას, ან ოსურ ენას (ეს პუნქტი ეხებათ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს).

მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების მსურველებმა რეგისტრაციის გავლის შემდეგ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჩააბარონ მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა.

მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილ დანარჩენ გამოცდებს აბიტურიენტი აბარებს უშუალოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

აბიტურიენტი მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაციისას არ უთითებს. მას მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის და შიდა გამოცდის შედეგი სჭირდება სწავლის გასაგრძელებლად.

ერთიანი ეროვნული გამოცდების (ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი ტესტის, ან აფხაზური ენის, ან ოსური ენის ტესტების) შედეგების საფუძველზე ჩარიცხვის მსურველები, რომლებიც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლით აპირებენ სწავლას სახელოვნებო ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ვალდებული არიან ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე გაიარონ შესაბამისი კონკურსი სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.

აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად აბიტურიენტებს (საქართველოს მოქალაქეებს) უფლება აქვთ, რეიტინგულ ჩამონათვალში მიუთითონ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. ამ შემთხვევაში აბიტურიენტები აბარებენ როგორც აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამისათვის, ისე ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულ საგნებს.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად (კონკურსი, ჩათვლა, შიდა ტური) აბიტურიენტმა უნდა მიმართოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას!



რეგისტრაცია ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის

რეგისტრაციისათვის წელსაც რამდენიმე ეტაპის გავლა იქნება საჭირო:

აბიტურიენტები რეგისტრაციას მხოლოდ ონლაინ რეჟიმში (ინტერნეტით) გადიან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის რეგისტრაციის ვებგვერდზე (online.naec.ge) 4 მარტის 10:00 საათიდან 4 აპრილის 18:00 საათამდე.

ამ პერიოდში აბიტურიენტებმა უნდა შეავსონ პირადი მონაცემები, აირჩიონ საგამოცდო ცენტრის ადგილმდებარეობა (ქალაქი) და ჩასაბარებელი საგნები.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ უნდა აირჩიოთ ის საგნები, რომლებიც ბარდება თქვენთვის სასურველ პროგრამებზე, სხვა შემთხვევაში საგნის შედეგს ვერ გამოიყენებთ. იმ საგნის ჩაბარებით, რომელიც არ არის დადგენილი საგანმანათლებლო პროგრამაზე, არ განიხილება არც აბიტურიენტის ჩარიცხვის და არც დაფინანსების საკითხი.

რეგისტრაციის ძირითადი ეტაპის ვადის ამოწურვის შემდეგ აბიტურიენტები ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაციის გავლას ვეღარ შეძლებენ.

2024 წლის 4 აპრილის 18:00 საათის შემდეგ აბიტურიენტს არ აქვს უფლება შეცვალოს სარეგისტრაციო განცხადებაში საგამოცდო ცენტრის ადგილმდებარეობა (ქალაქი).

აბიტურიენტს რეგისტრაციის მეორე ეტაპზე 15 აპრილის 18:00 საათამდე შეეძლება ჩასაბარებელი საგნის შეცვლა (წაშლა, დამატება), გამოცდის ენის შეცვლა ან კონკურსის (შემოქმედებითი ტურის) არჩევა.

15 აპრილის 18:00 საათის შემდეგ ჩასაბარებელ საგანთა ჩამონათვალში აბიტურიენტი ცვლილებას ვეღარ შეიტანს.

რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალს, სარეგისტრაციო განცხადებაში საგანმანათლებლო პროგრამების მითითებისა და შეცვლის საშუალება აბიტურიენტებს ექნებათ ერთიანი ეროვნული გამოცდების ნაშრომების შეფასებასთან დაკავშირებით საპრეტენზიო განაცხადის თაობაზე ყველა საგნობრივი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამოქვეყნებიდან მომდევნო დღის 18:00 საათის ჩათვლით. კონკრეტული თარიღი გამოქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე.


რეგისტრაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში აბიტურიენტის სარეგისტრაციო გვერდზე გამოჩნდება მის მიერ შევსებული მონაცემები (საგანთა ჩამონათვალი, საგამოცდო ცენტრის ადგილმდებარეობა (ქალაქი) და არჩეული საგანმანათლებლო პროგრამები), რომელთა დამახსოვრებაც აუცილებელია. თუ თქვენ არ გამოიყენებთ შენახვის დილაკს, სისტემა ვერ დაიმახსოვრებს ინფორმაციას!

რეგისტრაციის დამადასტურებელი საბოლოო დოკუმენტის შენახვა/ამობეჭდვა აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ გაასაჩივროთ რომელიმე სარეგისტრაციო პროცედურა. ამ დოკუმენტის წარდგენის გარეშე რეგისტრაციასთან ან სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებულ საჩივარს ცენტრი არ განიხილავს. არ გაანდოთ სხვას პაროლი (ხუთნიშნა კოდი). მხოლოდ თქვენ ხართ პასუხისმგებელი სარეგისტრაციო განაცხადში მითითებული მონაცემების სისწორესა და მასში შემდგომ შეტანილ ცვლილებებზე.



როგორ უნდა გავიაროთ რეგისტრაცია? - დეტალური ინსტრუქცია

1. რეგისტრაციისათვის აბიტურიენტმა უნდა გადაიხადოს გამოცდებში მონაწილეობის საფასური (გადახდის ფორმები აღწერილია ქვემოთ).
2. ინტერნეტით რეგისტრაციას აბიტურიენტი გადის ვებგვერდზე online.naec.ge.
3. მითითებულ მისამართზე შესვლის შემდეგ აბიტურიენტი სპეციალურ ველში უთითებს პირად ნომერს, კრეფს მოცემულ სიმბოლოებს და აჭერს გაგრძელების ღილაკს. შემდეგ ამოწმებს პირად ნომერს და აგრძელებს რეგისტრაციის პროცესს.



რეგისტრაციის გასაგრძელებლად აბიტურიენტი უნდა გაეცნოს მოცემულ პირობებს და დაადასტუროს მათი გაცნობა.

4. თუ აბიტურიენტი საქართველოს მოქალაქეა, პროგრამას ავტომატურად გამოაქვს ეკრანზე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული მონაცემები (აბიტურიენტის პირადი ინფორმაცია), რის შემდეგაც აპლიკანტს შეუძლია გააგრძელოს რეგისტრაციის პროცესი.

თუ გამოსაცდელი არ არის საქართველოს მოქალაქე, ან არის ორმაგი მოქალაქეობის მქონე და გამოცდაზე დარეგისტრირდება, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, დამატებით ავსებს სპეციალურ ველებს - უცხო ქვეყნის მოქალაქის პირადობის (ბინადრობის) მოწმობის/პასპორტის სერიასა და ნომერს (პასპორტის სერიის ყველა სიმბოლო, იქნება ეს ციფრები თუ ასოები, ივსება მიყოლებით, სივრცის დატოვების გარეშე).



5. სისტემა ავტომატურად ამოწმებს ინფორმაციას გამოცდაში მონაწილეობის საფასურის გადახდის შესახებ (თუ გადახდა არ დადასტურდა, აბიტურიენტი ევრანზე ხედავს შესაბამის შეტყობინებას და ვეღარ აგრძელებს რეგისტრაციას).
6. აბიტურიენტი შეძლებს მონიშნოს იმდენი საგამოცდო საგანი, რამდენი საგნის საფასურიც აქვს გადახდილი.

(გაითვალისწინეთ, რომ რეგისტრაციის დროს შემოქმედებითი ტურის არჩევისას აბიტურიენტი თანხას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ანგარიშზე არ იხდის. შემოქმედებითი ტურის თაობაზე მან უნდა მიმართოს კონკრეტულ უმაღლეს სასწავლებელს).

7. აბიტურიენტმა უნდა შეავსოს შემდეგი ველები: სასურველი საგამოცდო ცენტრის ადგილმდებარეობა (ქალაქი), მობილური ტელეფონის მოქმედი ნომერი.
8. თუ პირადი ინფორმაციის შევსებისას აბიტურიენტი შესაბამის ველში მიუთითებს მობილური ტელეფონის ნომერს, მას სისტემაში შესვლისათვის საჭირო პაროლის აღდგენა მითითებულ ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით შეეძლება. მობილური ტელეფონის ნომერი უნდა ჩაწეროთ კოდისა და ცარიელი ადგილების გამოტოვების გარეშე (მაგ.: 595XXXXX).

გთხოვთ რეგისტრაციისას მიუთითეთ ტელეფონის ნომერი, რომელზე წვდომაც მთელი საგამოცდო პერიოდის განმავლობაში გეწებათ, ვინაიდან ცენტრმა შესაძლებელია აღნიშნულ ნომერზე გამოაგზავნოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებით.

9. თუ აბიტურიენტს გამოცდის დროს ესაჭიროება სპეციალური პირობების/სპეციფიკური საგამოცდო გარემოს შექმნა, უნდა მონიშნოს შესაბამისი გრაფა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შესაბამისი ცნობა (ფორმა №100) წარმოადგინოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ან გამოაგზავნოს საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან.

განაცხადები მიიღება 4 მარტიდან 15 აპრილის 18:00 საათამდე.

10. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის არჩევისას აბიტურიენტმა ყურადღება უნდა მიაქციოს ზოგადი უნარების გამოცდის ენას;
11. საგამოცდო საგნების მონიშვნის შემდეგ აბიტურიენტმა უნდა შეადგინოს საგანმანათლებლო პროგრამების რეიტინგული ჩამონათვალი. მისი შედგენისას აბიტურიენტი უთითებს საგანმანათლებლო პროგრამის კოდს ან პროგრამის დასახელებას, ხოლო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას სისტემა თავად ჩაწერს შესაბამის ველებში.



ერთიანი ეროვნული გამოცდები

პირადი ინფორმაცია

სახელი, გვარი: _____ დაბადების თარიღი: _____

საკონტაქტო ტელეფონი: _____

თანახმა ვარ მოკლე ტექსტური შეტყობინებებით მივიღო ცენტრის საკომიანოასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია

საგამოცდო ქალაქი: ქ. თბილისი სპეციალური პირობები: არა

ჩასაბარებელ საგანთა ჩამონათვალი

ქართული ენა და ლიტ.	დამატება
ინგლისური ენა	წაშლა
მათემატიკა	
ისტორია	

კონკურსი პროგრამებზე

პროგრამების პრიორიტეტული ჩამონათვალი

პრიორიტეტი	პროგრამის კოდი	უმაღლესი სასწავლებელი	
1	0030101	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დამატება
შენებლობა			
2	0010101	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	წაშლა
ქართული ფილოლოგია			
3	0100102	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	

1. სოციალური მეცნიერებები: პოლიტიკის მეცნიერება, სოციოლოგია, ფსიქოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები); 2. ფილოსოფია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა); 3. თავისუფალი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა); 4. საერთაშორისო ურთიერთობები: ევროპა და ახლო აღმოსავლეთი (ძირითადი სპეციალობა)

ინფორმაცია არ არის დამახსოვრებული!!! [შენახვა](#)

აუცილებელი ველების შევსებისა და ჩასაბარებელ საგანთა ჩამონათვალის მითითების შემდეგ აბიტურიენტი აჭერს შენახვის დილაკს, რის შემდეგაც ეკრანზე დაინახავს პაროლს (ხუთნიშნა კოდს), რომელიც შემდგომში პირად გვერდზე შესვლისას უნდა გამოიყენოს. ეს კოდი (პაროლი) აბიტურიენტებს მოკლე ტექსტური შეტყობინების სახითაც დაეგზავნებათ რეგისტრაციისას მითითებულ მობილურის ნომერზე.

რეგისტრაციის დასრულების შემდეგ აბიტურიენტმა უნდა ამოიწვიოს ან შეინახოს (pdf ფორმატში) რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი!

რეგისტრაციასთან ან სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს სპეციალური პროგრამიდან შენახული ან ამოიწვილი აქვს რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

აბიტურიენტს შეუძლია არაერთხელ შეცვალოს საგანმანათლებლო პროგრამების პრიორიტეტული ჩამონათვალი ერთიანი ეროვნული გამოცდების ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით საპრეტენზიო



განაცხადის თაობაზე ყველა საგნობრივი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამოქვეყნებიდან მომდევნო დღის 18:00 საათამდე. იგი თავისი პირადი ნომრისა და პაროლის (ხუთნიშნა კოდი) მითითებით შედის საკუთარ გვერდზე, შეაქვს სასურველი ცვლილებები და ინახავს ინფორმაციას. ზემოაღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ აბიტურიენტი საგანმანათლებლო პროგრამების პრიორიტეტულ ჩამონათვალს ველარ შეცვლის!

თუ აბიტურიენტი აბარებს სახელოვნებო-შემოქმედებით/სასპორტო მიმართულებაზე და ასევე სწავლის გაგრძელებას განიხილავს სხვა პროგრამებზეც, უნდა გაითვალისწინოს, რომ რეგისტრაციისას მხოლოდ ორი საგნისა და შემოქმედებითი ტურის არჩევისას ის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის არჩევას ვერ შეძლებს. აუცილებელია მესამე ან მეოთხე საგნის ჩაბარება.

რეგისტრაციის ვიდეოინსტრუქციის ნახვა შესაძლებელია ვებგვერდსა www.naec.ge და სარეგისტრაციო გვერდზე online.naec.ge.

ერთიან ეროვნულ გამოცდაში მონაწილეობის საფასურის გადახდის დანიშნულებაში საქართველოს მოქალაქე უთითებს აბიტურიენტის გვარს, სახელსა და პირად ნომერს. უცხო ქვეყნის მოქალაქე, ასევე ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი, რომელსაც სურს რეგისტრაციის გავლა, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, უთითებს გვარს, სახელს, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის/პასპორტის სერიასა და ნომერს (პასპორტის სერიის ყველა სიმბოლო, იქნება ეს ციფრები თუ ასოები, ივსება მიყოლებით, სივრცის დატოვების გარეშე).

ერთი საგნის გამოცდის ჩაბარების საფასურია **10 ლარი**. მისი გადახდა შეუძლია როგორც აბიტურიენტს, ისე სხვა პირს, რომელიც გადახდისას (**დანიშნულებაში**) მიუთითებს აბიტურიენტის შესაბამის მონაცემებს.

გადახდის შესაძლო საშუალებები და საბანკო მომსახურების საკომისიო:

„საქართველოს ბანკის“ გადახდების პლატფორმით - bogpay.ge - საფასურს ემატება მომსახურების

საკომისიო 0.5 ლარი + 1,2%;

„საქართველოს ბანკის“ თვითმომსახურების ტერმინალით - საფასურს ემატება მომსახურების

საკომისიო 0,5 ლარი;

„საქართველოს ბანკის“ ინტერნეტ ბანკის საშუალებით - ibank.ge - საფასურს ემატება

მომსახურების საკომისიო 0.5 ლარი;

„საქართველოს ბანკის“ მობილური აპლიკაციით- mBank - საფასურს ემატება მომსახურების საკომისიო 0.5 ლარი.



ერთიან ეროვნულ გამოცდაში მონაწილეობის საფასური სრულად ბრუნდება განცხადების საფუძველზე, თუ:

- ✓ პირი ერთიან ეროვნულ გამოცდაზე რეგისტრაციის ვადის განმავლობაში არ დარეგისტრირდა;
- ✓ აბიტურიენტმა შესაბამისი წლის 4 აპრილის 18:00 საათამდე წერილობით განაცხადა უარი ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობაზე;
- ✓ აბიტურიენტმა ვერ მოიპოვა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – ატესტატი.

აგრეთვე, თუ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის საფასური გადახდილია მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში) ან შესაბამის აბიტურიენტს, მოთხოვნის შემთხვევაში, უბრუნდება სხვაობა გადახდილ თანხასა და საფასურის დადგენილ ოდენობას შორის.

აბიტურიენტს რეგისტრაციის მეორე ეტაპის დასრულებიდან ცენტრის მიერ განსაზღვრულ ვადაში უფლება აქვს შეავსოს თანხის დაბრუნების შესახებ ცენტრის მიერ დადგენილი განაცხადის ფორმა. გადახდილი თანხა ბრუნდება შესაბამისი განცხადების მიღების ვადის დასრულებიდან, არაუგვიანეს ერთი თვისა. განაცხადის ფორმა და დაწვრილებითი ინფორმაცია განთავსდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.naec.ge. თანხის დაბრუნების თაობაზე დაგვიანებით შემოტანილი განცხადება არ განიხილება და თანხა უკან აღარ დაბრუნდება.

გაითვალისწინეთ: თუ პირი გაივლის რეგისტრაციას, თუმცა შემდეგ გადაიფიქრებს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობას, იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს თანხის უკან დაბრუნებას, თუ ძირითადი რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე (4 აპრილის 18:00 საათი) მომართავს ცენტრს განცხადებით რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე.

თუ აბიტურიენტმა დადგენილ ვადებში გადაიხადა რეგისტრაციის თანხა, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო ვერ შეძლო რეგისტრაციის გავლა, მას შეუძლია მომართოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს განცხადებით რეგისტრაციის პირველი ეტაპის დასრულებიდან 15 დღის განმავლობაში. ცენტრი განიხილავს განცხადებას და კანონმდებლობის შესაბამისად მიიღებს გადაწყვეტილებას.

დოკუმენტაციის წარდგენის ვადები

თუ თქვენ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეთ 2011 წლამდე, **2024 წლის 20 ივნისის 18:00 საათის ჩათვლით** შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში უნდა წარმოადგინოთ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო რეგიონებში - საგანმანათლებლო რესურსცენტრებში, რომლებიც შემდგომ უზრუნველყოფენ ცენტრში განცხადებების გადმოგზავნას მართვის ერთიანი ავტომატური სისტემის (eflow) გამოყენებით.

გაითვალისწინეთ: ცენტრი იტოვებს შესაძლებლობას, აბიტურიენტის მიერ სრული ზოგადი განათლების მიღების შესახებ ინფორმაციის მოუძიებლობის შემთხვევაში, აბიტურიენტს მოსთხოვოს ატესტატის ასლის ცენტრში წარმოდგენა! ასეთ შემთხვევაში აბიტურიენტის საგამოცდო ბარათზე დატანილი იქნება მოთხოვნა ატესტატის ცენტრში წარმოდგენის თაობაზე. ამდენად, აბიტურიენტს ატესტატის ცენტრში



წარმოდგენის ვალდებულება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის საგამოცდო ბარათზე მითითებულია ამის შესახებ.

აბიტურიენტებმა, რომლებმაც სრული ზოგადი განათლება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიიღეს, **2024 წლის 20 ივნისის 18:00 საათამდე** უნდა წარმოადგინონ სრული ზოგადი განათლების აღიარების დოკუმენტი.

აბიტურიენტებმა, რომლებსაც აქვთ საქართველოში განხორციელებული საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (რომელიც გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან და იძლევა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას), **(2024 წლის 20 ივნისის 18:00 საათამდე)** უნდა წარმოადგინონ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება მათ მიერ დასრულებული, საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საქართველოში განხორციელების შესაძლებლობა.

აბიტურიენტებმა, რომლებმაც სრული ზოგადი განათლება უცხო ქვეყანაში მიიღეს, სრული ზოგადი განათლების აღიარების დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ **20 აგვისტოს 18:00 საათამდე**.

ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდაზე რეგისტრაციას გაივლის, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, ვალდებულია, **20 ივნისის 18:00 საათამდე** შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.

რეკომენდაციები აბიტურიენტებს - სარეგისტრაციო განაცხადის შევსებისას აბიტურიენტმა უნდა გაითვალისწინოს:

აკრედიტებულია თუ არა საგანმანათლებლო პროგრამა (არაკრედიტებული პროგრამა არ ფინანსდება სახელმწიფო სასწავლო გრანტით);

- აკრედიტაციის ვადები;
- გაზრდილია თუ არა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;
- მითითებულია თუ არა საგანმანათლებლო პროგრამაზე სპეციალური მოთხოვნები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასაბარებელი გამოცდისათვის მინიჭებული კოეფიციენტი (კოეფიციენტების მინიჭებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამისათვის მეტად თუ ნაკლებად პრიორიტეტულ საგამოცდო საგნებს, საკონკურსო ქულები სწორედ კოეფიციენტების მიხედვით დაითვლება);
- საგანთა პრიორიტეტი (საგანთა პრიორიტეტის გათვალისწინება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ორი ან მეტი აბიტურიენტი დააგროვებს ერთნაირ საკონკურსო ქულას საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოყოფილი ადგილების მიჯნაზე).



მაგალითად: კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არის ოცი ადგილი. ცხადია, სწავლის გაგრძელების უფლება უნდა მოიპოვოს საუკეთესო შედეგის მქონე ოცმა აბიტურიენტმა, მაგრამ მე-20 პოზიციაზე აღმოჩნდა ორი ზუსტად ერთნაირი საკონკურსო ქულის მქონე აბიტურიენტი. ამ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება მას, ვისაც უფრო მაღალი შეფასება ექნება საგანმანათლებლო პროგრამის მიერ მინიჭებულ პრიორიტეტული საგნის გამოცდაში.

გახსოვდეთ, თქვენ მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა შეზღუდული არ არის! ასევე უნდა გაითვალისწინოთ:

- საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებული ადგილების რაოდენობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასური;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენა;
- თუ რომელ ქალაქში მიმდინარეობს სწავლა ამ საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით.

რაიმე სახის ფუნქციონალური დარღვევის შემთხვევაში (მოტორული, სმენითი, მხედველობითი და სხვ.), თუ აპლიკანტს სურს გამოცდაზე სპეციალური პირობების შექმნა, მან რეგისტრაციისას უნდა მონიშნოს სპეციალური ველი. ექიმის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N100) აბიტურიენტმა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში უნდა წარადგინოს **2024 წლის 15 აპრილის 18:00 საათამდე; აღნიშნული თარიღის შემდგომ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენის შემთხვევაში, აბიტურიენტი ვერ ისარგებლებს სპეციალური პირობებით.**

15 აპრილის შემდეგ ფუნქციური დარღვევის შემთხვევაში აბიტურიენტმა ან უფლებამოსილმა პირმა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს უნდა წარუდგინოს ცნობა გონივრულ ვადაში, არაუგვიანეს გამოცდის წინა დღისა;

გამოცდებამდე რამდენიმე დღით ადრე ან გამოცდების პერიოდში ინფექციური დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს ან საგამოცდო ცენტრს გამოცდების დაწყებამდე, რათა ცენტრმა უზრუნველყოს აბიტურიენტისათვის სპეციალური პირობების შექმნა;

გამოცდებამდე ან გამოცდების პერიოდში აბიტურიენტის დაკავების/დაპატიმრების შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, რათა ცენტრმა უზრუნველყოს აბიტურიენტის გამოცდაზე დასაშვებად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და შესრულება.




საგამოცდო ბარათები

აბიტურიენტები საგამოცდო ბარათების ელექტრონულ ვერსიებს ნებისმიერ ხელმისაწვდომ კომპიუტერზე პირადი სარეგისტრაციო გვერდიდან ამოზეჭდავენ (გვერდი, სადაც აბიტურიენტი ირჩევს გამოცდებს, საგანმანათლებლო პროგრამებს, ნახულობს შედეგებს).

ბარათზე მითითებულია შემდეგი ინფორმაცია:

- აბიტურიენტის საიდენტიფიკაციო კოდი;
- საგამოცდო ცენტრის მისამართი;
- თითოეული გამოცდის თარიღი;
- გამოცდაზე რეგისტრაციის დაწყების დრო;
- საგამოცდო სექტორისა და სამუშაო მაგიდის ნომრები;
- საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ინფორმაცია ატესტატის წარმოდგენის შესახებ.



მნიშვნელოვანია, რომ საგამოცდო ბარათზე მითითებული ყველა ინფორმაცია დაბეჭდილი იყოს მკაფიოდ, ხარვეზების (წყვეტა, ლაქები და ა. შ.) გარეშე. საგამოცდო ბარათი პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად იქნება აბიტურიენტის საშვი მთელი საგამოცდო პროცესის განმავლობაში.

შედეგების გასაგებად შეინახეთ ან დაიმახსოვრეთ თქვენი საიდენტიფიკაციო კოდი.



2024 წელს საგამოცდო ცენტრები გაიხსნება: ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, ფოთში, ახალციხეში, გორში, ოზურგეთში, თბილისში, რუსთავში, თელავში, ხულოსა და ამბროლაურში.

რა შემთხვევაში გაუქმდება აბიტურიენტის სარეგისტრაციო განაცხადი?

აბიტურიენტის სარეგისტრაციო განაცხადი გაუქმდება, ან რანჟირების დოკუმენტის შედგენისას მისი შედეგები არ იქნება განხილული, თუ მან:

- გამოცდამდე დაწერა განცხადება და მოითხოვა რეგისტრაციის გაუქმება (განცხადებას თან უნდა დაერთოს აბიტურიენტის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი);
- ვერ მოიპოვა/არ აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი/მასთან გათანაბრებული დოკუმენტი;
- შესაბამის ვადებში არ წარმოადგინა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიღებულია 2011 წლამდე, ან თუ მის საგამოცდო ბარათზე დატანილია მოთხოვნა ატესტატის ცენტრში წარმოდგენის თაობაზე;
- შესაბამის ვადებში არ წარმოადგინა სრული ზოგადი განათლების ან მისი აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი (აბიტურიენტებმა, რომლებმაც სრული ზოგადი განათლება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიიღეს; აბიტურიენტებმა, რომლებსაც აქვთ საქართველოში განხორციელებული საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან და იძლევა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას);
- სრული ზოგადი განათლება უცხო ქვეყანაში მიიღო, შესაბამისი განათლების აღიარების დოკუმენტი არ წარმოადგინა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში **20 აგვისტოს 18:00 საათამდე**.

როგორ უნდა მოიქცეს აბიტურიენტი, თუ საგანმანათლებლო პროგრამაზე მითითებულია ერთი ან რამდენიმე უცხოური ენა?

- აბიტურიენტი ვალდებულია, ჩააბაროს ის უცხოური ენა, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამაზე არის მოთხოვნილი;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე ორი ან მეტი უცხოური ენის მითითების შემთხვევაში აბიტურიენტი ვალდებულია, ჩააბაროს დასახელებულთაგან ერთ-ერთი უცხოური ენის გამოცდა, რომელსაც თავად აირჩევს;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, საგანმანათლებლო პროგრამაზე არ აირჩიოს გამოცდა კონკრეტულ უცხოურ ენაში. ამ შემთხვევაში 4 უცხოური ენიდან (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) აბიტურიენტი ირჩევს მისთვის სასურველ ერთ-ერთ უცხოურ ენას;
- აბიტურიენტი სარეგისტრაციო განაცხადებაში უთითებს მხოლოდ ერთ უცხოურ ენას.



შეუძლია თუ არა აბიტურიენტს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება სხვა ენაზე, გარდა ქართულისა?

- ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარება შესაძლებელია სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე;
- აბიტურიენტს, რომელსაც ზოგადი განათლება მიღებული აქვს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, უფლება აქვს ისტორიის, გეოგრაფიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, სამოქალაქო განათლების, მათემატიკისა და ქიმიის გამოცდა ჩააბაროს რუსულ ენაზე. ამ შემთხვევაში აბიტურიენტმა განცხადებით უნდა მიმართოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს 2024 წლის 1 მაისამდე;
- გამოცდა ტარდება ოსურ და აფხაზურ ენებში (ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის).

სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის წესი

როგორ გაიცემა სახელმწიფო სასწავლო გრანტი აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე?

ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20¹³ მუხლით გათვალისწინებულ პირს (პირადობის ნეიტრალური დოკუმენტის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირს, ასევე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში ლეგიტიმურად მცხოვრებ პირს, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციის საფუძველზე მინიჭებული აქვს პირადი ნომერი).

მთავრობის დადგენილების შესაბამისად, 2024 წელსაც გაიცემა 100%-იანი, 70%-იანი და 50%-იანი სასწავლო გრანტები.

სწავლების ერთ საფეხურზე სახელმწიფო სასწავლო გრანტი გაიცემა მხოლოდ ერთხელ!

სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შესაძლებლობა აქვს იმ აბიტურიენტსაც, რომელმაც წინა წლებში მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება და სახელმწიფო სასწავლო გრანტი აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ არ ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. თუ ჩაირიცხა, გრანტი გამოყენებულად ეთვლება.

ორი ან მეტი არჩევითი საგნის ჩაბარების შემთხვევაში, ერთ-ერთ მათგანში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის (ჩაჭრის) ან გამოცდაზე არგამოცხადების გამო აბიტურიენტი მაინც შეინარჩუნებს სახელმწიფო სასწავლო გრანტის მიღების შესაძლებლობას.

უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს მიერ სასწავლო გრანტისთვის გამოყოფილი თანხის წლიური მოცულობის არა უმეტეს 2%-ისა,



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული სპეციალური სახელმწიფო პროგრამით, საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე ან ნაცვალგების პრინციპით. დაინტერესებულმა პირებმა უნდა მიმართონ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

სახელმწიფო სასწავლო გრანტი არ გაიცემა:

- უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე;
- ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირზე, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდაზე რეგისტრაციას გაივლის, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, ან ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩატარების წლის 1 აგვისტომდე განაცხადებს, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღება სურს, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეს და ცენტრში წარადგენს შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტებს;
- იმ პირებზე, რომლებიც არააკრედიტებულ პროგრამებზე მოიპოვებენ სწავლის გაგრძელების უფლებას;
- იმ პირებზე, რომლებსაც სახელმწიფო სასწავლო გრანტი ერთხელ მიღებული და გამოყენებული აქვთ აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე/ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.

აკადემიურ პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების წესი:

აბიტურიენტი აკადემიურ პროგრამებზე სახელმწიფო სასწავლო გრანტს მოიპოვებს სამი საგნის შედეგის გათვალისწინებით - ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენის და მათემატიკის/ისტორიის/გეოგრაფიის/სამოქალაქო განათლების/ლიტერატურის/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/ფიზიკის/ქიმიის/ბიოლოგიის გამოცდებში მიღებული აბსოლუტური ქულის მიხედვით უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აბსოლუტური ქულით რანჟირების სიის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკადემიური პროგრამისთვის გამოყოფილი გრანტის წლიური მოცულობის ფარგლებში.

გათვალისწინეთ: იმისათვის, რომ აბიტურიენტის მიერ ამა თუ იმ საგანში მოპოვებული ქულა გათვალისწინებულ იქნეს მისი აბსოლუტური ქულის დათვლისას, აუცილებელია, რომ აღნიშნული საგნის ჩაბარება სავალდებულო უნდა იყოს კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოსაპოვებლად.

აბიტურიენტი ორ ან მეტ საგრანტო კონკურსში იღებს მონაწილეობას იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად სამი სავალდებულო საგანია განსაზღვრული, თუმცა მესამე სავალდებულო საგნად განსაზღვრულია რამდენიმე საგანი და აბიტურიენტი ამ საგნებიდან ორს ან მეტს აბარებს.



იგივე წესი მოქმედებს **ჯანდაცვის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების** (დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, საექთნო საქმის, სამეანო საქმის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, ოკუპაციური თერაპიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამების) შემთხვევაში, სადაც ასევე 4 საგნის ჩაბარებაა სავალდებულო. ამ პროგრამებზე აბსოლუტური ქულა გამოითვლება:

1. ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენის და ბიოლოგიის შედეგების გათვალისწინებით;
2. ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენის და ფიზიკის/ქიმიის/მათემატიკის (იმის შესაბამისად, თუ რომელი გამოცდა აქვს ჩაბარებული აბიტურიენტს) შედეგების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამაზე ოთხი საგნის ჩაბარებაა სავალდებულო, დაფინანსების საკითხის გადაწყვეტისთვის, აბსოლუტური ქულებით რანჟირება ხდება იმ საგნის გამოცდის შედეგის მიხედვით, რომლის საფუძველზეც აბიტურიენტი მოიპოვებს პროგრამისათვის გრანტის მეტ ოდენობას. თუ ამ საგნების გამოცდებში მიღებული ქულების მიხედვით აბიტურიენტი მოიპოვებს პროგრამისთვის გრანტის ერთსა და იმავე ოდენობას, აბსოლუტური ქულებით რანჟირებისას გათვალისწინებული იქნება აბიტურიენტის მიერ მოპოვებული ქულა იმ საგანში, რომელზეც შესაბამის წელს მეტი თანხა გადაანაწილდება. საგნებზე თანხის თანაბრად გადაანაწილების შემთხვევაში, აბსოლუტური ქულებით რანჟირების დროს გათვალისწინებული იქნება საგნების რიგითობა ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად.

სახელოვნებო-შემოქმედებით ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების მიზნით აბიტურიენტი ვალდებულია ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა და **უმაღლესი სასწავლებლის მიერ პროგრამის მიხედვით დაწესებული ერთი გამოცდა.**

თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არ დააწესებს დამატებით გამოცდას, აბიტურიენტი უფლებამოსილია სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების მიზნებისათვის ჩააბაროს ერთ-ერთი ან ყველა მათგანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

აკადემიურ პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვებისა და აბიტურიენტის აბსოლუტური ქულის გამოთვლის მიზნით ერთიანი ეროვნული გამოცდების თითოეულ საგანს ენიჭება წონა. საგამოცდო საგნის წონა ქართული ენისა და ლიტერატურის და უცხოური ენის საგნებში არის 1, ხოლო ყველა სხვა საგამოცდო საგანში – 1.5.

მაგალითად: თუ აბიტურიენტმა მიიღო ქართულ ენასა და ლიტერატურაში 169,1, უცხოურ ენაში - 164,8 და მათემატიკაში - 164,0 ქულა, მისი აბსოლუტური (საგრანტო) ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: $169,1 + 164,8 + (164,0 \times 1,5) = 579,9$. მიღებული ჯამი მრავლდება 10–ზე, ანუ აბსოლუტური საგრანტო ქულა იქნება $579,9 \times 10 = 5799,0$.



აბიტურიენტის აბსოლუტური (საგრანტო) ქულა გამოითვლება შემდეგი წესის დაცვით:

ა) აბიტურიენტის მიერ თითოეული საგნის საგამოცდო ტესტში მიღებული ქულა, ფსიქომეტრული პარამეტრების მიხედვით, განთავსდება ერთ საერთო სტანდარტულ სკალაზე და მიიღება საგნის სკალირებული ქულა;

ბ) აბიტურიენტის მიერ მიღებული სკალირებული ქულა მრავლდება შესაბამის საგამოცდო საგნის წონაზე და მიიღება კონკრეტული ქულა;

გ) აბიტურიენტის კონკრეტული ქულების შეკრებით მიიღება აბსოლუტური ქულა.

აბიტურიენტი, მისი აბსოლუტური ქულის შესაბამისად, სახელმწიფო სასწავლო გრანტს იღებს მის მიერ ჩაბარებულ საგამოცდო საგნისთვის გამოყოფილი თანხის ფარგლებში.

საქართველოს მთავრობის მიერ აკადემიური პროგრამისათვის დადგენილი გრანტის წლიური მოცულობა იყოფა 10 ნაწილად შემდეგი საგნებისათვის:

- ა.ა) მათემატიკა;
- ა.ბ) ბიოლოგია;
- ა.გ) ქიმია;
- ა.დ) ფიზიკა;
- ა.ე) სამოქალაქო განათლება;
- ა.ვ) ისტორია;
- ა.ზ) გეოგრაფია;
- ა.თ) ლიტერატურა;
- ა.ი) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
- ა.კ) ზოგადი უნარები.

მათემატიკის, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკისა და ზოგადი უნარების საგნებისათვის განსაზღვრულია პრიორიტეტული წონა - 1.4, ხოლო დანარჩენი საგნებისათვის პრიორიტეტული წონაა 1.

საქართველოს მთავრობის მიერ აკადემიური პროგრამისათვის დადგენილი გრანტის წლიური მოცულობის 5% თანაბრად ნაწილდება თითოეულ საგანზე, ხოლო 95% პროპორციულად ნაწილდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ზემოაღნიშნული საგნებისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობის შესაბამისად, საგნებისათვის მინიჭებული პრიორიტეტული წონის გათვალისწინებით. ამ მიზნით გამოითვლება თითოეული საგნისათვის გამოცხადებული აწონილი ადგილების რაოდენობა, რისთვისაც თითოეული საგნისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობა მრავლდება შესაბამის წონაზე, შემდეგ კი აკადემიური პროგრამებისათვის დადგენილი გრანტის წლიური მოცულობის 95% საგნებზე გადანაწილდება თითოეული საგნისათვის გამოცხადებული აწონილი ადგილების პროპორციულად.



როგორ გაიცემა სახელმწიფო სასწავლო გრანტი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე?

სახელმწიფო დაფინანსება (100%-ის ოდენობით) გაიცემა სპეციალურად ამ საგანმანათლებლო პროგრამებისათვის გამოყოფილი თანხის ფარგლებში, ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი ტესტის, ან აფხაზური ენის, ან ოსური ენის გამოცდის შედეგის საფუძველზე. რეიტინგული სია, გამოცდის ენის მიხედვით, ზოგადი უნარების/აფხაზური ენის/ოსური ენის შედეგის საფუძველზე შედგება (მაგ.: ვინც ჩააბარებს ზოგადი უნარების სომხურენოვან ტესტს, შედგება ცალკე რეიტინგული სია. ანალოგიურად შედგება იმ გამოსაცდელის სია, რომლებიც ჩააბარებენ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვან ტესტს და ცალ-ცალკე იმ აბიტურიენტების, რომლებიც ჩააბარებენ აფხაზურ ან ოსურ ენებს).

სად და როდის გაივლიან აბიტურიენტები სახელოვნებო/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის და სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილ კონკურსს?

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყებამდე ჩაატარებენ კონკურსს (შემოქმედებით და სასპორტო ტურებს) და შესაბამისი ქულებით შეაფასებენ აბიტურიენტებს. ამ ინფორმაციას დადგენილ ვადაში მიაწვდიან შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს. კონკურსის სახელწოდებებსა და ინფორმაციას მათი ჩატარების ვადებისა და პროცედურების შესახებ გამოაქვეყნებენ თავად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.



რა უნდა იქონიოს თან აბიტურიენტმა გამოცდაზე გამოსხადებისას?

საგამოცდო ბარათი.



სურვილის შემთხვევაში, გელიანი (ე. წ. ტუშის) შავი ფერის კალამი, 0,5-0,7 მმ. ბურთულიანი წვერით.



პირადობის (ბინადრობის) დამადასტურებელი დოკუმენტი/პასპორტი ან სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის ბეჭდითა და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით დამოწმებული განაცხადი/განაცხადება-ანკეტა/ამონაბეჭდი ან სხვა დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია პირის ფოტოსურათი, სახელი, გვარი და პირადი ნომერი.



ინფორმაცია საგამოცდო პროცესის შესახებ

გამოცდები ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით ტარდება: ფორმატი ტესტის (და არა პასუხების ფურცლის) ელექტრონულად მიწოდებას ითვალისწინებს. გამოცდაში მონაწილე პირი დავალებას მისთვის განკუთვნილი კომპიუტერის ეკრანზე დაინახავს, პასუხებს კი, ჩვეულებრივ, პასუხების ფურცელზე მონიშნავს ან დაწერს.

- აბიტურიენტი ცხადდება საგამოცდო ბარათზე მოცემულ საგამოცდო ცენტრში მითითებულ დროს.
- რეგისტრაციის გავლამდე აბარებს ზედმეტ ნივთებს.
- რეგისტრაციის გავლის შემდეგ იკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს შესაბამის სექტორში.
- აბიტურიენტი მიიღებს პასუხების ფურცელს და ფურცელს შავი სამუშაოსათვის, ასევე გამოცდით გათვალისწინებულ დამხმარე მასალას (მაგ.: რუკა, მენდელეევის ტაბულა). აბიტურიენტს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია გამოიყენოს საკუთარი შავი ფერის გელიანი (ე. წ. ტუშის) კალამი 0,5-0,7 მმ. ბურთულიანი წვერით.
- ანონიმურობის უზრუნველსაყოფად პასუხების ფურცელზე დაიკვრება ინდივიდუალური შტრიხკოდი (შტრიხკოდისა და მაგიდის ნომრები იდენტურია).
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პასუხების ფურცლის დაუზიანებლობას. არ შეიძლება მისი დაკეცვა ან დაჭიმუჭვნა, რაიმე ჩანაწერის გაკეთება (რომელიც არ ეხება ტესტის კითხვების პასუხს).
- **სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი.**
- ყველა საგამოცდო ცენტრში, რეგისტრაციის სივრცესა და სექტორში დამონტაჟებული იქნება ვიდეოკამერა, ჩაიწერება მთელი საგამოცდო პროცესი და შეიქმნება ვიდეოარქივი.
- საგამოცდო დროის ამოწურვის ან აბიტურიენტის მიერ სამუშაოს ადრე დასრულების შემთხვევაში, დამკვირვებელი ამოწმებს, გადატანილია თუ არა პასუხების ფურცელზე სტანდარტული ფრაზა, ასევე, აბიტურიენტის პასუხების ფურცლისა და შტრიხკოდის დაუზიანებლობას, რასაც აბიტურიენტი ადასტურებს უწყისში ხელმოწერით და ამის შემდეგ დამკვირვებელს აბარებს ნამუშევარს.
- საგამოცდო პროცესი ამით სრულდება. პასუხების ფურცლები ილუქება და იგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

როგორ უნდა მოიქცეს აბიტურიენტი, თუ მიაჩნია, რომ გამოცდის მიმდინარეობისას მის მიმართ დაირღვა დადგენილი წესები ან ტესტირების პროცედურები?

ასეთ შემთხვევაში აბიტურიენტმა **გამოცდის დღის 21:00 საათამდე** განცხადებით უნდა მიმართოს (ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე განაცხადი) იმ საგამოცდო ცენტრის ადმინისტრაციას, რომელშიც ჩააბარა გამოცდა. განცხადება საპრეტენზიო კომისიას გადაეცემა არაუგვიანეს მომდევნო დღისა და განიხილება მიღებიდან ხუთი დღის ვადაში. პასუხს განმცხადებელი **გადაწყვეტილების მიღებიდან ორი დღის ვადაში შეიტყობს.**



წესები, რომლებიც უნდა დაიცვას აბიტურიენტმა გამოცდის მიმდინარეობისას:

წესები ემსახურება გამოცდის მიმდინარეობისას აუცილებელი სამუშაო პირობების შექმნას, თანაბარი პირობების უზრუნველყოფას.

აბიტურიენტი უნდა გამოცხადდეს საგამოცდო ბარათზე მითითებული განრიგის მიხედვით აღნიშნულ მისამართზე და გაიაროს რეგისტრაცია. გაითვალისწინეთ: - **რეგისტრაციის დასრულების შემდეგ აბიტურიენტი გამოცდაზე არ დაიშვება!**

რეგისტრაცია იწყება გამოცდამდე ერთი საათით ადრე (ბარათზე მითითებულია რეგისტრაციის დაწყების დრო).

აბიტურიენტმა თან უნდა იქონიოს საგამოცდო ბარათი და პირადობის (ბინადრობის) დამადასტურებელი დოკუმენტი/პასპორტი ან სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის ბეჭდითა და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით დამონშებული განაცხადი/განცხადება - ანკეტა/ამონაბეჭდი ან სხვა დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია პირის ფოტოსურათი, სახელი, გვარი და პირადი ნომერი. აკრძალულია გამოცდაზე ნებისმიერი ნივთის შეტანა, გარდა წყლის (პლასტმასის ბოთლით), პირადი ჰიგიენის ნივთებისა და სურვილის შემთხვევაში, შავი ფერის გელიანი (ე.წ. ტუშის) კალმისა (0,5-0,7 მმ. ბურთულიანი წვერით).

აბიტურიენტი უნდა დაემორჩილოს აბიტურიენტის უფლება-მოვალეობების ჩამონათვალით გათვალისწინებულ წესებს.

გაითვალისწინეთ, რომ აბიტურიენტი გაფრთხილების გარეშე იხსნება გამოცდიდან:

ლექსიკონის, დამხმარე მასალის, ე. წ. „შპარგალკის“, მობილური ტელეფონის, ელექტრო საათის, კალკულატორის ან სხვა ელექტრონული აპარატურის აღმოჩენისას (თუნდაც ელექტრონული ხელსაწყო გამორთული იყოს);

წესრიგის უხეში დარღვევის ან საგამოცდო პროცესში მონაწილე პირის შეურაცხყოფის ან სხვა მსგავს შემთხვევაში;

ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შემთხვევაში.



ჩამოთვლილის გახდა, ნებისმიერი სხვა წესის დახლვევისას აბიგუჩიენტი იღებს გაფრთხილებას. მეოხე გაფრთხილების მიღების შემთხვევაში დამკვიხვებელი ვადებუდია, გამოცდიდან მოხსნას აბიგუჩიენტი.



გამოცდის დაწყებამდე აბიტურიენტი გაეცნობიან წესებს, რომლებიც უნდა დაიცვან ტესტირების პროცესში:

- საგამოცდო სექტორში აბიტურიენტები უნდა დასხდნენ მათთვის განკუთვნილ ადგილას;
- მაგიდაზე, რომელზეც განთავსებულია კომპიუტერი, მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, გელიანი (ე. წ. ტუშის) შავი ფერის კალმის, პასუხების ფურცლისა და შავი სამუშაოსთვის განკუთვნილი ფურცლის ან გამოცდით გათვალისწინებული დამხმარე მასალის (მაგ.: რუკა, მენდელეევის ტაბულა) დადება შეგიძლიათ - არც ერთი სხვა ნივთი არ უნდა იდოს სამუშაო მაგიდაზე (წყალი პლასტმასის ბოთლით შეგიძლიათ დადოთ იატაკზე);
- პასუხების ფურცლების დარიგებისას დაკვირვებით უნდა შეამოწმოთ პასუხების ფურცელი დამკვირვებელთან ერთად, რათა დარწმუნდეთ, რომ დაუზიანებელია - ეს სექტორის უწყისში ხელმოწერით უნდა დაადასტუროთ;

- ხარვეზიან პასუხების ფურცელს ახლით შეგიცვლიან;
- პასუხების ფურცელზე დაკრული შტრიხკოდის ნომერი თავად უნდა ჩაწეროთ სექტორის უწყისის შესაბამის გრაფაში;
- ტესტზე მუშაობა იწყება სისტემაში სპეციალური კოდის შეყვანის შემდეგ;
- საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ დამკვირვებელს;
- გამოცდის დასრულებამდე 10 წუთით ადრე დამკვირვებელი შეგახსენებთ დროს, რათა დროულად დაასრულოთ ტესტზე მუშაობა.



დრო ემატებათ მხოლოდ იმ აბიტურიენტებს, რომელთაც წინასწარ მოითხოვეს სპეციალური პირობების შექმნა და წარმოადგინეს შესაბამისი სამედიცინო ცნობა, რის საფუძველზეც ცენტრში შექმნილმა კომისიამ (რეგისტრირებულ ფუნქციონალური დარღვევის მქონე აპლიკანტთა მიერ წარმოდგენილი ცნობების განხილვის თაობაზე შექმნილი კომისია) დროის დამატებასთან დაკავშირებით მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

გაითვალისწინეთ, თუ დროზე ადრე დაასრულებთ მუშაობას, მიმართეთ დამკვირვებელს, რომელსაც დადგენილი წესით უნდა ჩააბაროთ პასუხების ფურცელი, ასევე შავი სამუშაოსათვის განკუთვნილი ფურცელი. პასუხების ფურცლის ჩაბარების ფაქტს ხელმოწერით დაადასტურებთ სექტორის უწყისში. ნაშრომის ჩაბარების შემდეგ კი დატოვებთ საგამოცდო სექტორს.

აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს დამკვირვებლის ან სხვა პასუხისმგებელი პირის მითითება, მათ შორის, გადაწყვეტილება გამოცდიდან მოხსნის თაობაზე.

გაითვალისწინეთ, ნაშრომი არ გასწორდება, თუ:

- პასუხების ფურცელი ან შტრიხკოდი დაზიანებულია;
- აბიტურიენტი საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტს მუშაობას და არ ჩააბარებს პასუხების ფურცელს;
- პასუხების ფურცელს დააწერს სახელს, გვარს ან პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველ რაიმე სხვა ინფორმაციას, ან რაიმე სახის ისეთ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან.

